საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. ხახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№g-04/107-24 02.07.2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია (ტექსტში მითითებულ საანგარიშო პერიოდად იგულისხმება - 2023 წლის 30 ოქტომბრიდან 30 ივნისამდე პერიოდი):

1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს რომელმა წევრმა, როდის და საკრებულოს წინაშე რომელ ანგარიშვალდებულ ორგანოს გაუგზავნა წერილობითი შეკითხვა, აგრეთვე როდის მიიღო საკრებულომ შესაბამისი პასუხები? გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ გაგზავნილი შეკითხვები და მიღებული პასუხები;
2. კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს რომელმა წევრმა გამოიყენა საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებთან შეხვედრის უფლება და რა თემას ეხებოდა ის?
3. საანგარიშო პერიოდში ისარგებლეს თუ არა საკრებულოს წევრებმა კოდექსის 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების უფლებამოსილებით აღმასრულებელი ორგანოდან? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, გვაცნობოთ, რომელმა დეპუტატმა, რომელი უწყებიდან და რა საკითხთან დაკავშირებით მოითხოვა ინფორმაცია (მათ შორის, გამოითხოვა და მიიღო თუ არა შიდა აუდიტის სამსახურის დასკვნები საკრებულოს შესაბამისმა სუბიექტმა);
4. როდის წარადგინა მუნიციპალიტეტის მერმა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში? გთხოვთ გვაცნობოთ თარიღი;
5. როდის წარადგინა მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოში 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ლენტეხის საკრებულოს რეგლამენტის 90-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად? სად არის ეს ანგარიში ხელმისაწვდომი?
6. როდის წარედგინა საკრებულოს 2023 და 2024 წლის ბიუჯეტების შესრულების მიმდინარეობის კვარტალური ანგარიშები? გთხოვთ გვაცნობოთ თარიღები
7. საანგარიშო პერიოდში წარდგენილ იქნა თუ არა საკრებულოში ინიციატივა

მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად? გთხოვთ გვაცნობოთ, საკრებულოს გადაწყვეტილებით ჩატარდა თუ არა მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი?

8. როდის წარადგინა მერმა საკრებულოში საქმიანობის წლიური ანგარიში (2023 წლის) და განიხილა თუ არა ის საკრებულომ? გთხოვთ გვაცნობოთ წარდგენის, ასევე საკრებულოს სხდომაზე განხილვის თარიღები;

9. საანგარიშო პერიოდში მოითხოვა თუ არა საკრებულომ მერის რიგგარეშე ანგარიშის წარდგენა კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, გვაცნობოთ, როდის განიხილა ის საკრებულომ?

10. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის რომელი თანამდებობის პირების ანგარიშები მოისმინა საკრებულოს ბიურომ კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და როდის?

11. როდის წარადგინა მერმა საკრებულოში წინა წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიში (2023 წლის ანგარიში)? განიხილა თუ არა ის საკრებულომ სხდომაზე?

12. საანგარიშო პერიოდში შეიქმნა თუ არა სამუშაო ჯგუფები საკრებულოში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, გვაცნობოთ, რა თემაზე შეიქმნა, რა ვადით, ვინ იყო ინიციატორი და როდის დაასრულა თითოეულმა ჯგუფმა ფუნქციონირება. აგრეთვე მოგვაწოდეთ იმ სამუშაო ჯგუფების შექმნის ინიციატივების თაობაზე ინფორმაცია, რომლებიც არ შეიქმნა საკრებულოს მიერ. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ შესაბამისი სამუშაო ჯგუფების საქმიანობის ანგარიშები;

13. საანგარიშო პერიოდში გამოუცხადა თუ არა საკრებულომ მერს უნდობლობა, ან იყო თუ არა ასეთი ინიციატივა საკრებულოში?

14. გაასაჩივრა თუ არა საკრებულომ აღმასრულებელი ორგანოს, მერიის თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სასამართლოში საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ან/და საქართველოს კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის მოტივით, კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად?

15. საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს რომელმა სუბიექტმა, როდის და რამდენჯერ გამოიყენა ინტერპელაციის უფლება? მოთხოვნის გაგზავნიდან რამდენ ხანში გამოცხადდა საკრებულოს სხდომაზე ანგარიშვალდებული პირი, ასევე მოჰყვა თუ არა რაიმე რეაგირება ინტერპელაციის პროცედურას? გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ინტერპელაციის წესით გაგზავნილი შეკითხვები და მიღებული წერილობითი პასუხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

16. შეიტანა თუ არა ბიურომ საკუთარ ან საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკრებულოს მიერ მიღებული იმ სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა აღსრულების მდგომარეობაზეც ბიურომ (საკრებულომ) უნდა მოისმინოს ინფორმაცია (რეგლამენტის რედაქციის 115-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად)? ამ პროცედურის ფარგლებში, მერიის რომელი თანამდებობის პირები გამოცხადდნენ საკრებულოში? ინფორმაციების მოსმენის შემდეგ საკრებულოს ბიურომ (საკრებულომ) რა შეფასება გააკეთა და დააყენა თუ არა შესაბამისი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი (ან იყო თუ არა პასუხისმგებლობის დაყენების თაობაზე ინიციატივა)?

17. საკრებულოების კომისიების მიერ კონტროლის განხორციელების მიზნით, კომისიებმა საანგარიშო პერიოდში მერიის რომელ თანამდებობის პირებს მოუსმინა რეგლამენტის მოქმედი რედაქციის 25-ე მუხლის 1 პუნქტის გ ქვეპუნქტის შესაბამისად, და რა სახის რეკომენდაციები/ დასკვნები მიიღო მოსმენის შედეგად?

18. საანგარიშო პერიოდში გამოითხოვა თუ არა, და რომელმა სუბიექტმა აღმასრულებელი ორგანოდან ინფორმაცია რეგლამენტის მოქმედი რედაქციის 113-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად?

19. საანგარიშო პერიოდში, რომელმა კომისიამ და როდის გამოიყენა რეგლამენტის მოქმედი რედაქციის 116^2 მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინებული უფლებამოსილება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებით, კერძოდ, რომელი ორგანოების ანგარიში მოისმინა და რა შეფასებები გასცა;

20. კომისიამ დაიბარა თუ არა ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები სხდომაზე რეგლამენტის მოქმედი რედაქციის 116^3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, გვაცნობოთ, რომელმა კომისიამ, რომელი თანამდებობის პირი, რა თემაზე და როდის დაიბარა სხდომაზე, როდის გამოცხადდნენ ეს პირები სხდომაზე და რა რეაგირება მოჰყვა კომისიის მხრიდან მის მოსმენას;

21. გააგზავნა თუ არა ფრაქციამ თავისი სახელით შეკითხვა ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებთან რეგლამენტის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ, რომელმა ფრაქციამ, რა შეკითხვა, როდის, რომელი თანამდებობის პირის მიმართ გამოიყენა ეს მექანიზმი, რა პასუხი და როდის მიიღო ფრაქციამ;

22. გამოიყენა თუ არა საკრებულომ (ასევე, იყო თუ არა ინიციატივა) რეგლამენტის ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციის 116^3 მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინებული უფლება, თანამდებობის პირის საკრებულოს სხდომაზე დაბარებასთან დაკავშირებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ, ვინ იყო ინიციატორი, როდის დაიბარა საკრებულომ და რომელი თანამდებობის პირი სხდომაზე, როდის გამოცხადდა ეს პირი და რა შედეგი მოჰყვა მის მოსმენას;

23. კომისიებმა პირველ საორგანიზაციო სხდომაზე გამოიყენეს თუ არა შესაძლებლობა, რომელიც ითვალისწინებს ფუნქციების განაწილებას კომისიის წევრებს შორის და საჭიროების შემთხვევაში, კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ერთგვაროვან ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით კომისიის წევრებისგან კომისიის სამუშაო ჯგუფების შექმნას; დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ, თითოეულ კომისიაში რა თემებზე რა ჯგუფებია შექმნილი და ვინ არიან ამ ჯგუფების წევრები, ასევე, ეს ჯგუფები რაიმე სპეციალურ ანგარიშს წარმოადგენენ მათთვის განპიროვნებული თემის მიხედვით;

24. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარემ გამოიყენა თუ არა რეგლამენტის 2023 წლის 30 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს რომელიმე თანამდებობის პირის მიმართ?

25. რამდენი წევრი ჰყავდა საკრებულოს 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით? რამდენი ფრაქციაა საკრებულოში? რამდენი უფრაქციო დეპუტატია საკრებულოში? გთხოვთ მოგვაწოდოთ წევრების გადანაწილება ფრაქციების მიხედვით; აგრეთვე, გვაცნობოთ ფრაქციებში წევრების (ასევე უფრაქციო წევრების) გადაადგილების დინამიკა 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდზე.

26. მოხელის რამდენი საშტატო ერთეულია, რამდენი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირია და რამდენი ვაკანსიაა 30 ივნისის მდგომარეობით.
27. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საკრებულოს მიერ დამტკიცებული გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა, დებულებები, მათი სხდომების ოქმები და საქმიანობის ანგარიშები.
28. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საკრებულოს და კომისიების სხდომების ოქმები 2023 წლის 30 ოქტომბრიდან 30 ივნისამდე პერიოდზე;
29. გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ საანგარიშო პერიოდში გამართული საკრებულოს სხდომების ვიდეო ჩანაწერები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გთხოვთ, ინფორმაცია გამოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: mbubashvili@gyla.ge

პატივისცემით,

ნანუკა ყრუაშვილი

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: მათე ბუბაშვილი; +995 551 57 62 57